**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/50

ქ. ბათუმი

10 ივნისი, 2021 წ.

**,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 09 სექტემბრის N06-01/59 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (ინგლისურენოვან) პროგრამაზემე-8 ნაკადზე ჩარიცხულ სტუდენტთათვის 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური კალენდარისა და საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის N01-02/13 ბრძანების (ცვლილება 2021 წლის 2 მარტის N01-02/38 ბრძანებით), ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის MES 1 21 0000159323 ბრძანების, ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 25 მაისის N01-08/298 ბრძანების, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის №159323 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 04 ივნისის №522605 ბრძანების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 09 სექტემბრის N06-01/59 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, **დადგენილების 1² პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1². 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი **ყველა ნაკადის სტუდენტებისათვის** (მათ შორის ინდოეთის რესპუბლიკიდან მომავალი სტუდენტებისთვის) წარიმართოს შემდეგი ფორმატით:

ა) **ჰიბრიდული ფორმატით,** თეორიული ნაწილი (ლექციები) - დისტანციურად, ხოლო პრაქტიკული, ლაბორატორიული და კლინიკური კომპონენტი - საუნივერსიტეტო სივრცეში და სამედიცინო ბაზებზე - **საქართველოში მყოფი სტუდენტებისთვის** (ვინც ჩაერთო გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესში 2021 წლის 19 აპრილიდან, გაიარა აკადემიური რეგისტრაცია, მათ შორის 2021 წლის 13-14 მაისს გამოცხადდა ფაკულტეტის დეკანის ოფისში);

**ბ) დისტანციური ფორმატით** - ინდოეთის რესპუბლიკიდან მომავალი სტუდენტებისთვის (მიუხედავად მოქალაქეობისა), რომლებსაც არ მოუთხოვიათ სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო **2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში** ვერ შემოვიდნენ ქვეყანაში. ამ კატეგორიის სტუდენტების სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიზნით განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

**ბ.1)** ბსუ-ში მე-8 ნაკადზე ჩარიცხულ სტუდენტებთან ხელშეკრულებები (მატერიალური სახით) გაფორმდეს საქართველოში ჩამოსვლისა და საუნივერსიტეტო სივრცეში გამოცხადებისთანავე, არაუგვიანეს მომდევნო სემესტრის დაწყებამდე;

ბ.2) აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომლებსაც გავლილი აქვთ 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაცია (გადახდილი აქვს სწავლის საფასური) და ჩართული არიან სასწავლო პროცესში (პროგრამის სასწავლო კურსებზე) დისტანციურად, ჩაეთვალოთ მიმდინარე სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია გავლილად.“.

3. წინამდებარე დადგენილების გათვალისწინებით ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა უზრუნველყოს **3 სამუშაო დღის** ვადაში სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა:

ა) ბსუ-ში მე-8 ნაკადზე ჩარიცხულ იმ სტუდენტებთან დადებული მატერიალური ხელშეკრულების გაფორმებისა და პირადი საქმის გახსნის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა, რომლებიც მიმდინარე სემესტრში ჩამოვიდნენ **საქართველოში,** 2021 წლის 13-14 მაისს გამოცხადნენ ფაკულტეტის დეკანის ოფისში და დაიწყეს სწავლა;

ბ) იმ სტუდენტების შესახებ, რომლებიც არ იმყოფებიან საქართველოში, არ გაუვლიათ ადმინისტრაციული რეგისტრაცია (არ გადაუხდიათ სწავლის საფასური), არ ჩართულად დისტანციურად სასწავლო პროცესში და არ აქვთ ამის სურვილი (აღნიშნული სტუდენტების ნაწილში, თუკი მათ მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 25 მაისის N01-08/298 ბრძანების, ფაკულტეტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანება);

გ) საქართველოში არმყოფი სტუდენტების მიერ მიმდინარე სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული, ლაბორატორიული და კლინიკური კომპონენტის დისტანციურ ფორმატში გავლასთან დაკავშირებით, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტისა და ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით.

4. საქართველოს მთავრობის ან/და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა (რეკომენდაციების) გათვალისწინებით, ბსუ-ში 2020-2021 სასწავლო წლის კალენდრის ცვლილებასთან ან/და სასწავლო პროცესის სრულად ან ნაწილობრივ ელექტრონულად (დისტანციურად) წარმართვის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემის საჭიროების შემთხვევაში, იგი გამოსცეს ბსუ-ს რექტორმა.

5. წინამდებარე დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ შესაბამისმა ფაკულტეტმა აცნობოს პროგრამის სტუდენტებს, სასწავლო პროცესში გამოყენებული ყველა ელექტრონული სერვისის საშუალებით.

6. წინამდებარე დადგენილების საფუძველზე იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადოს კოდიფიცირებული 2020 წლის 9 სექტემბრის N06-01/59 დადგენილება, ითარგმნოს ინგლისურ ენაზე, ხოლო ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე („სწავლა"-„აკადემიური კალენდარი" და ინგლისურენოვან ველში „სტუდენტის გზამკვლევში' ახალი ჩანართის - „აკადემიური კალენდარი" დამატებისათვის).

7. დადგენილება განთავსდეს ბსუ–ს ვებგვერდზე.

8. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

9. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

10. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

]

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **ფერაბ ხალვაში**